Ministry of Foreign Affairs of Denmark
DANIDA | International Development Cooperation

ევროპის ფონდი

საფარი
SAPARI

CEAC
Civic Engagement and Activism Center

მარნეულის მუნიციპალიტეტში მცხოვრები

ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენელი ქალების პრობლემებისა და საჭიროების კვლევა

თბილისი
2023

კვლევის ავტორი: გიორგი ურჩუხიშვილი
კვლევის ასისტენტი: შალალა ამირჯანოვა

კვლევის რედაქტორი: ბაია პატარაია

© საფარი / SAPARI

აღნიშნული კვლევა მომზადდა საფარის მიერ ევროპის ფონდის დაფინანსებით, დანიის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს გრანტის ფარგლებში. პროექტის ადგილობრივი პარტნიორია „სამოქალაქო ჩართულობისა და აქტივიზმის ცენტრი“. კვლევის შინაარსზე პასუხისმგებელნი არიან ავტორები. ანგარიში არ გამოხატავს ევროპის ფონდის და დანიის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს ოფიციალურ პოზიციებს.

მარნეულის მუნიციპალიტეტში მცხოვრები

ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენელი ქალების პრობლემებისა და საჭიროების კვლევა

შინაარსი

შესავალი/პრობლემის ჩამოყალიბება *2*

კვლევის მიზანი და ამოცანები *6*

კვლევის დიზაინი, მეთოდოლოგია და მეთოდი *7*

კვლევის შეზღუდვები **8**

სხვა დამატებითი დემოგრაფიული დეტალები **9**

თვისებრივი კვლევის შედეგები *10*

გზა, ტრანსპორტირება, სასმელი და სარწყავი წყალი და სხვა ინფრასტრუქტურული საკითხები: 11

სასმელი და სარწყავი წყლის პრობლემა 12

ასფალტი, გარე განათება და კანალიზაცია 13

ნარჩენების მართვა 13

ქართული ენის პრობლემა 14

სკოლამდელი განათლების პრობლემა 17

სათემო ცენტრები - ადგილობრივი ქალებისათვის 20

სოფლად მცხოვრები ქალების დასაქმების პრობლემა 21

ჯანდაცვის სერვისებზე ხელმისაწვდომობა, ამბულატორიებისა და აფთიაქების არარსებობა 22

ნაადრევი/იძლებითი ქორწინება-ნიშნობა, ოჯახში ძალადობა 23

სამოქალაქო აქტიურობა 26

შეჯამება **27**

გამოყენებული ლიტერატურა: *28*

შესავალი/პრობლემის ჩამოყალიბება

მოსახლეობის მაღალი პოლიტიკური ჩართულობა, მმართველობის სისტემებსა და სხვადასხვა ადგილობრივ პოლიტიკაზე ეფექტური სამოქალაქო მონიტორინგი დემოკრატიული განვითარებისა და წინსვლის ერთ-ერთი წინაპირობაა, თუმცა, საქართველოში ადგილობრივ დონეზე მოსახლეობის მონაწილეობა სოციალური, ეკონომიკური თუ პოლიტიკური საკითხების გადაწყვეტის პროცესში ჯერ კიდევ მნიშვნელოვან გამოწვევად რჩება[1], მიუხედავად სახელმწიფოს მიერ გატარებული სხვადასხვა რეფორმისა და არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ გაწეული ძალისხმევებისა. ეს ჩართულობა განსაკუთრებით დაბალია ეთნიკურად სომეხი და აზერბაიჯანელი მოქალაქეებით დასახლებულ რეგიონებში, მით უმეტეს მაშინ, როდესაც ისინი მთელი საქართველოს მოსახლეობის 10%-ზე მეტს შეადგენენ (სომხები - 4,53%, აზერბაიჯანელები - 6.27%)[2].

შესაბამისად, მწირია მათი წარმომადგენლობა, როგორც საქართველოს პარლამენტში, ასევე, მუნიციპალიტეტების საკრებულოების დონეზე[3]. თუმცა, არსებობს მათ შორის განსხვავებებიც. მაგალითად, კვლევები მიუთითებს, რომ სამცხე-ჯავახეთში სომხურენოვანი მოხელეები უმრავლესობით არიან წარმოდგენილნი საჯარო სამსახურში. თუმცა, საპირისპირო ვითარებაა ქვემო ქართლში - მიუხედავად იმისა, რომ აქ ეთნიკური აზერბაიჯანელები წარმოადგენენ დომინანტურ ეთნიკურ ჯგუფს, საჯარო სამსახურში მათი წილი ძალიან დაბალია[4]. ასევე, საინტერესოა სქესის მიხედვით საჯარო მოხელეთა განაწილება. საჯარო სამსახურის ბიუროს 2020 წლის მონაცემებით, საჯარო სამსახურში, შინაგან საქმეთა სამინისტროში დასაქმებულების გამოკლებით, დასაქმებულია 15422 პროფესიული საჯარო მოხელე. 2018 წლიდან, საჯარო მოხელეთა საერთო რაოდენობა ეტაპობრივად მცირდებოდა, თუმცა, ქალების წილი საჯარო მოხელეებს შორის სტაბილურად იზრდებოდა. 2018 წელს, აღნიშნული ქალების წილი 51%-ს შეადგენდა, 2020 წლისთვის ეს მაჩვენებელი 7%-ით გაიზარდა და 58%-ს მიაღწია

---

[1] ფონდი ღია საზოგადოება - საქართველო, "მუნიციპალიტეტების გამჭვირვალობისა და ანგარიშვალდებულებების 2021 წლის შეფასება". ხელმისაწვდომია: https://osgf.ge/publication/municipalitetebis- gamchvirvalobisa-da-angarishvaldebulebis-2021-wlis-shefaseba-dziritadi-mignebebi/;

[2] საქსტატი, "2014 წლის მოსახლეობის საყოველთაო აღწერა საქართველოში". UNFPA მოკლე შეჯამება. ხელმისაწვდომია: https://georgia.unfpa.org/sites/default/files/pub-pdf/full%20calendar_geo_0.pdf;

[3] სოციალური სამართლიანობის ცენტრი, "ეთნიკური უმცირესობებისთვის პოლიტიკურ ცხოვრებაში მონაწილეობა კვლავ მნიშვნელოვან გამოწვევად რჩება", 2021. ხელმისაწვდომია: https://socialjustice.org.ge/ka/products/etnikuri-umtsiresobebistvis-politikur-tskhovrebashi-monatsileoba-kvlav- mnishvnelovan-gamotsvevad-rcheba;

[4] სოციალური სამართლიანობის ცენტრი, სამოქალაქო თანასწორობისა და ინტეგრაციის სახელმწიფო სტრატეგიის შეფასება, 2021

(გვ. 24). როგორც აზერბაიჯანულენოვან, ასევე სომხურენოვან მუნიციპალიტეტებში, 2018-დან 2020 წლამდე ქალების წილი საჯარო სამსახურში აღმავალი ტენდენციით ხასიათდება. უნდა აღინიშნოს, რომ გაანალიზებულ პერიოდში, აზერბაიჯანულენოვან მუნიციპალიტეტებში, სომხურენოვან მუნიციპალიტეტებთან შედარებით, საჯარო სამსახურში ქალების ჩართულობის უფრო მაღალი მაჩვენებელი ფიქსირდებოდა. თუმცა, ვინაიდან საჯარო სამსახურის ბიურო არ აგროვებს ინფორმაციას მოხელეების ეთნიკური მიკუთვნებულობის შესახებ, ამ მონაცემებზე დაყრდნობით ვერ ვიტყვით, რომ აზერბაიჯანელი ქალების ჩართულობა საჯარო სამსახურში უფრო მაღალია (გვ. 26).

გადაწყვეტილების მიღების პროცესსა და სამოქალაქო მონიტორინგში ადგილობრივი მოსახლეობის ჩართულობის ხარისხს ბევრი ფაქტორი განაპირობებს. ასეთი ხელისშემშლელი ფაქტორები შეიძლება იყოს ადგილობრივ დონეზე მოქალაქეებისა და სახელმწიფოს შორის ეფექტური ინსტიტუციონალიზებული საკონსულტაციო მექანიზმების არარსებობა; მოქალაქეთა დაბალი მზაობა და ინტერესი, ზეგავლენა მოახდინონ საჯარო პოლიტიკის შემუშავებასა და განხორციელებაზე და ა. შ. ეთნიკური უმცირესობების შემთხვევაში კი, ამ ფაქტორებს ემატება სხვა დამატებითი ბარიერები, რომელიც ისეთი ადგილობრივი სოციო-ეკონომიკური თუ პოლიტიკური კონტექსტებით არის განპირობებული, როგორიცაა მაგალითად, ენობრივი ბარიერი, ან სახელმწიფოს მიმართ უნდობლობა და გაუცხოება[5]; ეს ყველაფერი ასევე განპირობებულია ადგილობრივი კულტურული მახასიათებლებით, რომელიც განსაკუთრებით უარყოფითად მოქმედებს პოლიტიკურ პროცესებში ქალების აქტიურობასა და ჩართულობაზე.

ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელი ქალები ორმაგად მოწყვლადები არიან მათი გენდერისა და ეთნიკური მიკუთვნებულობის გამო (weresearch 2021, 3-4). ისინი ვერ აქტიურობენ, მათი უსაფრთხოება ხშირად უხილაობაზე, როგორც გადარჩენის სტრატეგიაზეა, დამოკიდებული, პრობლემებზე ხმამაღლა საუბარმა კი, შესაძლოა, მათ წინაშე მდგარი საფრთხეები გაამწვავოს. უსაფრთხოებას, როგორც დუმილს (security as silence) სამი მთავარი ფაქტორი განაპირობებს: ინფორმაციისა და ოჯახში ძალადობის შესახებ ინფორმაციის ნაკლებობა, კულტურული სტიგმა, სტერეოტიპები და სახელმწიფოს მკაფიო მხარდაჭერისა და უსაფრთხოების ქსელის ნაკლებობა (weresearch 2021, 3-4). შესაბამისად, ადგილობრივი პოლიტიკა იგეგმება ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენელი

[5] სოციალური სამართლიანობის ცენტრი, "ეთნიკური უმცირესობებისთვის პოლიტიკურ ცხოვრებაში მონაწილეობა კვლავ მნიშვნელოვან გამოწვევად რჩება", 2021. ხელმისაწვდომია: https://socialjustice.org.ge/ka/products/etnikuri-umtsiresobebistvis-politikur-tskhovrebashi-monatsileoba-kvlav- mnishvnelovan-gamotsvevad-rcheba;

ქალებისა და მათი საჭიროებების კვლევის გარეშე და ის ხშირად არ ემთხვევა მათ რეალურ გამოცდილებებსა და პრობლემებს, რასაც ასევე ადასტურებს საფარისა[6] და მისი პარტნიორების კვლევითი გამოცდილებაც, მარნეულის მუნიციპალიტეტში მცხოვრებ ქალთა საკითხებთან დაკავშირებით.

კვლევები უჩვენებს, რომ ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენელი, კერძოდ ეთნიკურად აზერბაიჯანელი ქალები, არაერთი დამატებითი პრობლემისა და საჭიროების წინაშე დგანან, რომელიც მათ ხელს უშლის ადგილობრივ პოლიტიკურ ჩართულობაში. ამ პრობლემებიდან აღსანიშნავია განათლებასთან დაკავშირებული გამოწვევები. ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენელ ქალთა 7%-მა წერა-კითხვა არ იცის, 33%-ს არასრული საშუალო განათლება აქვს, 45%-ს – საშუალო განათლება, 10%-ს – საშუალო-პროფესიული განათლება, 1.4% უმაღლესი სასწავლებლის სტუდენტია და მხოლოდ 5%-ს აქვს უმაღლესი განათლება. ასევე, მნიშვნელოვანი გამოწვევაა ქართული ენის ცოდნის პრობლემა. მაგალითად, ქვემო ქართლის რეგიონში მცხოვრები ეთნიკურ უმცირესობათა წარმომადგენელი ქალებისათვის ქართული ენის არცოდნა და ამ ენაზე კომუნიკაციის ნაკლებობა ერთ-ერთ მნიშვნელოვან პრობლემას წარმოადგენს. ქალთა 63.4% ვერ ახერხებს ქართულად მეტყველებას, წერა-კითხვას და საუბრის გაგებას. სოფლად მცხოვრებმა ქალებმა უფრო ნაკლებად იციან ქართული, ვიდრე ქალაქის მცხოვრებლებმა. ქართული ენის ცოდნის დონე განსხვავდება რაიონების მიხედვით და ყველაზე დაბალი მაჩვენებელი მარნეულისა და ბოლნისის რაიონებშია. ქართული ენის არცოდნა ადგილობრივ მოსახლეობას ხელს უშლის, ჩაერთოს პოლიტიკურ პროცესებში. (ECMI, ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელ ქალთა საჭიროებები და პრიორიტეტები საქართველოში, 2014).

კვლევების - „ეთნიკური უმცირესობების ქალთა საჭიროებები და პრიორიტეტები ქვემო ქართლის რეგიონში“ და „ადგილობრივი თვითმმართველობის განხორციელებაში მოქალაქეთა ჩართულობის არსებული მექანიზმების შეფასება საქართველოში“ შედეგად, გამოვლინდა ის ძირითადი საკითხები, რომელიც პრობლემურია ქვემო ქართლის მოსახლეობისთვის. ყველაზე პრობლემური, როგორც აღმოჩნდა, დასაქმებაა. ამას მოსდევს გართობის საშუალებების (კინო, თეატრი და ა. შ.) ნაკლებობა, საგანმანათლებლო–შემეცნებითი დაწესებულებების (ბიბლიოთეკა, მუზეუმი და ა. შ.) არარსებობა, კანალიზაციის სისტემის გაუმართაობა, სკოლამდელი დაწესებულებების (ბაგა–ბაღი) არარსებობა, გზების, ტრანსპორტისა და ინფრასტრუქტურის გაუმართაობა, ჯანდაცვის სერვისების, ამბულატორიებისა და სამედიცინო მომსახურების დაბალი დონე, გაზიფიკაცია, ნარჩენების მართვა და ისეთი კულტურული პრომლემები, როგორებიცაა ოჯახში ძალადობა და ადრეული ქორწინება. და ბოლოს, აღსანიშნავია, რომ ადგილობრივი თვითმართველობისა და მმართველობის ორგანოების საქმიანობისა და მათი

[6] იხილეთ საფარის ვებსაიტზე მოცემული სხვადასხვა მასალა: www.sapari.ge

მოვალეობების შესახებ ინფორმირებული არ არის ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენელ ქალთა 77.6%. სოფლად მცხოვრებ რესპონდენტებს შორის, არაინფორმირებული უფრო მეტია (81.4%), ვიდრე – ქალაქელებს შორის (66.4%). (UnWomen 2014, 9-10).

ზემოთ ჩამოთვლილი გამოწვევები და პრობლემები სავარაუდოდ ხელს უშლის ქალებს **ადგილობრივი თვითმმართველობის განხორციელებასა და მოქალაქეთა ჩართულობის ისეთი ფორმების გამოყენებაში, როგორებიცაა:** ა) დასახლების საერთო კრება („საერთო კრება"); ბ) პეტიცია; გ) სამოქალაქო მრჩეველთა საბჭო; დ) მუნიციპალიტეტის საკრებულოსა და მუნიციპალიტეტის საკრებულოს კომისიის სხდომებში მონაწილეობა; ე) მუნიციპალიტეტის გამგებლის/მერის და მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის მიერ გაწეული მუშაობის შესახებ ანგარიშების მოსმენა[7]. შესაძლოა, ადგილობრივმა ქალებმა საერთოდ არ იციან ასეთი შესაძლებლობების შესახებ და არ იყენებენ მას. აღსანიშნავია, რომ მოცემული ჩამონათვალი არ ზღუდავს მუნიციპალიტეტს და მას გააჩნია უფლებამოსილება, ადგილობრივი თვითმმართველობის განხორციელებაში, მოქალაქეთა მონაწილეობის კოდექსით განსაზღვრული ფორმების გარდა, შესაბამისი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით განსაზღვროს ადგილობრივი თვითმმართველობის განხორციელებაში მოქალაქეთა მონაწილეობის სხვა ფორმები, რომლებიც არ ეწინააღმდეგება საქართველოს კანონმდებლობას. (ევროსაბჭო 2017, 14).

[7] 2015 წლის 22 ივლისს, საქართველოს პარლამენტმა დაამტკიცა ცვლილებები და დამატებები საქართველოს ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსში, რომლის თანახმადაც, ადგილობრივი თვითმმართველობის განხორციელებაში მოქალაქეთა ჩართულობის ფორმები განისაზღვრა.

კვლევის მიზანი და ამოცანები

ზემოთ ჩამოთვლილი პრობლემები ხელს უშლით ქალებს, მონაწილეობა მიიღონ ადგილობრივი თითმმართველობის განხორციელებასა და ლოკალურ პოლიტიკებში. სწორედ ამ პრობლემის გადასაჭრელად დაიგეგმა პროექტის: „მარნეულის მუნიციპალიტეტში მცხოვრები ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენელ ქალთა პოლიტიკური გაძლიერება" განხორციელება, რომლის მიზანია ადგილობრივი პოლიტიკების შემუშავებასა და მონიტორინგში მარნეულის მუნიციპალიტეტში მცხოვრები ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენელ ქალთა ჩართულობის გაზრდა მათი საჭიროებების გათვალისწინებით, ხოლო ამოცანებს წარმოადგენს მარნეულის მუნიციპალიტეტში მცხოვრები ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენელი ქალების მთავარი საჭიროებების შესწავლა და მათი ადვოკატირება ადგილობრივი პოლიტიკების, პროგრამებისა და ბიუჯეტების შემუშავებაში, ქალთა მონაწილეობით. სწორედ პირველი ამოცანის შესასრულებლად დაიგეგმა კავშირი „საფარის" მიერ აღნიშნული სოციოლოგიური კვლევა.

კვლევის მიზანია, **ადგილობრივ პოლიტიკებში ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენელი ქალების ჩართულობის ხელშეწყობა**, ხოლო ამოცანებს წარმოადგენს:

- სხვადასხვა კულტურული ბარიერების (გენდერული უთანასწორობა, ადრეული ქორწინება, ოჯახში ძალადობა) იდენტიფიცირება და შესწავლა, რომელსაც მარნეულის მუნიციპალიტეტში მცხოვრები ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენელი ქალები აწყდებიან საჯარო პოლიტიკაში ჩართულობის მიმართულებით;
- ადგილობრივი ქალების მთავარი საჭიროებების (ტრანსპორტი, ჯანმრთელობა, საბავშვო ბაღები) გამოვლენა და შესწავლა, რომლებიც მათი აზრით, აუცილებლად და დროულად უნდა გადაიჭრას ადგილობრივი ხელისუფლების მიერ;
- ადგილობრივი თვითმმართველობის განხორციელებაში მოქალაქეთა ჩართულობის ფორმების, კერძოდ, დასახლების საერთო კრების („საერთო კრება"), პეტიციის, სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს, მუნიციპალიტეტის საკრებულოს და მუნიციპალიტეტის საკრებულოს კომისიის სხდომებში მონაწილეობისა და მუნიციპალიტეტის გამგებლის/მერისა და

მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის მიერ გაწეული სამუშაოს შესახებ ანგარიშების მოსმენაზე ადგილობრივი ქალების ინფორმირებულობის შესწავლა და იმ გამოწვევების დადგენა, რომელიც ხელს უშლის მათ, გამოიყენონ აღნიშნული ფორმები.

კვლევის დიზაინი, მეთოდოლოგია და მეთოდი

კვლევაში გამოყენებულია მონაწილეობითი სამოქმედო კვლევის დიზაინი, რომლის დროსაც, რესპონდენტები კვლევის აქტიური მონაწილეები არიან. ისინი კვლევის დროს არა მხოლოდ საკუთარ პრობლემებსა და გამოცდილებებზე საუბრობენ, არამედ სრულად ერთვებიან პროცესში, დაწყებული შეკითხვების შექმნიდან, გაგრძელებული საველე სამუშაოების შესრულებით და დამთავრებული კვლევის ანგარიშის შექმნითა და შედეგების გავრცელებით (Aldridge 2015, 9). აღნიშნული კვლევის ფარგლებში, საკვლევი კითხვების ფორმულირებაში, კვლევის ინსტრუმენტის საბოლოო ვერსიის შექმნაში, მონაცემების შეგროვებასა და შედეგების გავრცელებაში მონაწილეობა კვლევის რესპონდენტებმა, ეთნიკურად აზერბაიჯანელმა ქალებმა მიიღეს. კვლევის აღნიშნული დიზაინი პროექტის მეორე ამოცანას - ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენელ ქალთა გამოვლენილი საჭიროებების ადვოკატირებას ადგილობრივი პოლიტიკების, პროგრამებისა და ბიუჯეტების შემუშავებაში - ზუსტად ერგება. კვლევის დროს გამოყენებულია კოლაბორაციული მონაწილეობის ტიპი, მკვლევარები და კვლევის ობიექტები ერთად მუშაობენ კვლევის პროცესში, თუმცა თავად კვლევა იქმნება და იმართება სოციოლოგების მხრიდან (Aldridge 2015, 20-21).

კვლევის პირველ ეტაპზე, ადგილობრივ ქალებთან ჩატარდა 1 სამუშაო ფოკუს-ჯგუფი, რომლის დროსაც გამოყენებულია გონებრივი იერიშის მეთოდი. მკვლევრებმა რესპონდენტებთან ერთად განიხილეს კვლევის ამოცანები და აქტივობები და ბოლოს, კვლევის ინსტრუმენტის, ფოკუს-ჯგუფის სადისკუსიო გეგმის შინაარსი შეიმუშავეს[8]. კვლევის მომდევნო ეტაპზე ჩატარდა საველე სამუშაოები და შეგროვდა თვისებრივი ინფორმაცია. სულ გაიმართა 19 ფოკუს-ჯგუფი ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენელ ქალებთან. ფოკუს-ჯგუფების მონაწილეების შერჩევის დროს გათვალისწინებულია ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენელი ქალების ასაკობრივი მაჩვენებლები. სულ გამოკითხულია 164 ადამიანი, აქედან 51 რესპონდენტი 18-35 ასაკობრივ ჯგუფს, ხოლო 113 რესპონდენტი - 36+ ასაკობრივ ჯგუფს წარმოადგენდა. ფოკუს-ჯგუფების მონაწილეთა შერჩევა მოხდა ორგანიზაციული შერჩევისა (Krueger 2015, 208) და

[8] იხილეთ დანართი #1 - ფოკუს-ჯგუფის სადისკუსიო გეგმა

თოვლის გუნდის (Krueger 2015, 203) ხერხის გამოყენებით, კერძოდ, მარნეულის მუნიციპალიტეტში მოქმედი სათემო ცენტრებისა და ადგილობრივი აქტივისტი ქალების დახმარებით. საბოლოო ჯამში, 6 ონლაინ და 13 პირისპირი შეხვედრა ჩატარდა მარნეულის მუნიციპალიტეტის შემდეგ სოფლებში: ქვემო სარალი, მოლაოღლუ, აღმამედლო, იმირი, შულავერი, ხალჯიღაზლო, ქაჩაგანი, მუღანლო, თექალო, ალგეთი, საბირქენდი, თაზაქენდი, აზისქენდი, ქუთლიარი, დამია-გიორარხი, წითელისოფელი. საველე სამუშოების დასრულების შემდეგ გაკეთდა თითოეული ფოკუს-ჯგუფის მოკლე ჩანაწერი და დამუშავდა თემატურად. გამოყოფილია თემები და ქვეთემები, რომლის შედეგად მომზადდა თვისებრივი მონაცემების ე. წ. note based ანალიზი. კვლევა ჩატარდა ეთიკური სტანდარტების დაცვით. შეგროვებული ინფორმაცია გაანალიზებულია ისე, რომ მან არ დააზიანოს და უფრო დაუცველი არ გახადოს კვლევის მონაწილე ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენელი ქალები. მონაწილეთა სურვილის მიხედვით, გათვალისწინებულია მათი ანონიმურობა და კონფიდენციალობა.

კვლევის შეზღუდვები

კვლევის მთავარ შეზღუდვას ფოკუს-ჯგუფების დაორგანიზება, კერძოდ მონაწილეების მოზიდვა წარმოადგენდა, რადგან სოფლის მოსახლეობისთვის, განსაკუთრებით ქალებისათვის, მსგავსი ტიპის შეხვედრებში მონაწილეობის მიღება აქ იშვიათობაა. ამ ქალებს ასეთი გამოცდილება არ აქვთ. ეს იყო ძირითადი ბარიერი, რომელიც ხელს უშლიდა შეხვედრების დროულად ჩატარებას. თუმცა, ვინც მოდიოდა, მათთვის შეხვედრების აზერბაიჯანულ ენაზე წარმართვა, მკვლევრის/ინტერვიუერის ეთნიკური წარმომავლობა (ეთნიკურად აზერბაიჯანელი) და ადგილობრივი სტატუსი (იმავე თემის წევრი) კომფორტული იყო მონაწილეებისთვის და მათში ნდობის მოპოვებას უწყობდა ხელს. იქიდან გამომდინარე, რომ შეხვედრები მათ მშობიურ ენაზე ტარდებოდა, ისინი ღიად ახერხებდნენ არაერთ საინტერესო თემაზე საუბარს. კიდევ ერთ შეზღუდვას წარმოადგენდა მონაწილეების მორიდებულობა და პასიურობა, თუმცა, ფოკუს-ჯგუფის მეთოდმა გაამართლა და როდესაც ერთი ადამიანი იწყებდა აზრის დაფიქსირებას, ეს სხვა რესპონდენტების გახსნასაც იწვევდა. დამატებით, ინტერვიუერმა გამოიყენა რესპონდენტებში გულახდილობის გამომწვევი ხერხები, მათ შორის შეკითხვები მესამე პირში, სიჩუმე და ექო. საბოლოო ჯამში, მიუხედავად

სხვადასხვა ხელის შემშლელი ფაქტორებისა, კვლევისთვის საინტერესო თვისებრივი ინფორმაცია შეგროვდა და გაანალიზდა.

სხვა დამატებითი დემოგრაფიული დეტალები

ფოკუს-ჯგუფების რესპონდენტების უმეტესობა დაქორწინებულია და შვილები და შვილიშვილები ჰყავს. მათი დიდი ნაწილი თავის თავს „დიასახლისს“ უწოდებს. თემის ტრადიციებიდან გამომდინარე, საყოფაცხოვრებო საქმიანობის გარდა, დიასახლისები ოჯახის სასოფლო-სამეურნეო საქმიანობაშიც არიან ჩართულნი. კვლევის მონაწილე ადგილობრივი ქალები არ ფლობენ პროფესიას, სამსახურს და შეესაბამისად, არ აქვთ ფინანსური შემოსავალი. თუ კვლევის მონაწილე ადგილობრივი ქალი დასაქმებულია, ის უმეტეს შემთხვევაში პედაგოგად მუშაობს სკოლაში. მხოლოდ 5 რესპონდენტი იყო ექთანი და 2 - მკერავი. აქვე აღსანიშნავია, რომ პროფესიით ექთნები, მიუხედავად პროფესიული ცოდნისა და გამოცდილებისა, არ არიან აქტიურ სამუშაოში ჩართული, რადგან თითქმის არც ერთ სოფელს ამბულატორია არ აქვს. პროფესიით ექთან ადგილობრივ ქალებს იმ სოფლებში დასაქმების საშუალება არ აქვთ, სადაც ცხოვრობენ. მათი სამუშაო წარმოადგენს ხანდახან სამეზობლოში ისეთი დახმარების გაწევას, როგორიცაა როგორიცაა ნემსისა და გადასხმის გაკეთება.

არიან პროფესიის არმქონე და თვითდასაქმებული ქალები, რომლებიც სახლის გარეთ კი მუშაობენ, მაგრამ მათი სამუშაო დღიურია და ფიზიკურ შრომასთან არის დაკავშირებული. ძირითადად, მათ ადგილობრივი ბიზნესმენები ქირაობენ სეზონური სამუშაოებისთვის, ყანებსა და სათბურებში. რესპონდენტების მიხედვით, ახალგაზრდა ადგილობრივი ქალები ბოლო წლებია, ონლაინ გაყიდვების საქმიანობაში არიან ჩართულნი. ისინი ყიდიან თავის მოვლის ქსელურ საშუალებებს, კომპანიების: ორიფლეიმის, ეივონის, ფაბერლიკისა და სხვა ბრენდების პროდუქციას. ეს ადგილობრივი ახალგაზრდა დიასახლისებისთვის ძირითადი შემოსავლის წყაროა.

რესპონდენტების მიხედვით, თემში, ოჯახში მთავარი შემომტანი კაცია, რადგან მას მარტივად შეუძლია სახლის გარეთ მუშაობა და ფინანსური სარგებლის მიღება. ეს საზოგადოებაში დამკვიდრებული წესია, ადგილობრივი გენდერული წესრიგის მთავარი დაშვება, რომ კაცს ევალება ოჯახის რჩენა. ხშირ შემთხვევაში, აღნიშნულ კვლევაში მონაწილე რესპონდენტების ოჯახს არჩენს ქმარი, მამათილი, მამა, ან ვაჟიშვილი. თუმცა, ხშირად ადგილობრივ კაცებსაც არ აქვთ პროფესია და

სამსახური, რომელიც მათთვის შემოსავლიანია. ისინი უმეტესწილად დაკავებულნი არიან ვაჭრობით, რაშიც იგულისხმება სოფლის მეურნეობის შედეგად მიღებული საქონლისა და მანქანების რეალიზაცია. ამასთან, რესპონდენტი ქალების აღწერით, ადგილობრივ კაცებში ყველაზე ხშირად ვხვდებით ხელოსნებს, მუშებს, მძღოლებს, სკოლის დირექტორებსა და მასწავლებლებს. როგორც კვლევამ გამოამჟღავნა, რესპონდენტების მონათხრობზე დაყრდნობით, შესაძლოა ითქვას, რომ მარნეულის რაიონში გენდერული წესრიგის გარდა, სოციალურ-ეთნიკური წესრიგი შეიძლება იყოს ადგილობრივი ქალებისა და კაცების პრობლემებისა და შესაბამისად, მათ წინაშე მდგომი საჭიროებების წყარო.

თვისებრივი კვლევის შედეგები

კვლევამ გამოავლინა, რომ რესპონდენტები რამდენიმე საერთო პრობლემისა და საჭიროების წინაშე დგანან. ეს პრობლემები და საჭიროებებია:

ინფრასტრუქტურული ხასიათის, როგორიცაა: ტრანსპორტირება, სასმელი და სარწყავი წყალი;
საგანმანათლებლო ხასიათის, როგორიცაა: ბაგა-ბაღების არარსებობა და სკოლამდელ განათლებასთან დაკავშირებული გამოწვევები. ამავე დროს, არ არებობს საგანმანათლებლო-შემეცნებითი, გასართობი სივრცეები. რეალურ პრობლემასა და საჭიროებას წარმოადგენს ქართული ენის არცოდნა და შესაბამისად, მისი სწავლება.
კულტურული ხასიათის, როგორიცაა: საზიანო პრაქტიკები, ოჯახში ძალადობა და ადრეული/იძულებითი/ბავშვთა ქორწინება/ნიშნობა;
ჯანდაცვასთან დაკავშირებული, როგორიც არის: ამბულატორიებისა და აფთიაქების არარსებობა;
და ბოლოს, **სოციალურ-ეკონომიკური ხასიათის,** როგორიცაა: უმუშევრობა; სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების რეალიზაციის პრობლემა და სასოფლო-სამეურნეო რესურსების ნაკლებობა/ხელმიუწვდომლობა.
ქვემოთ განხილულია თითოეულ მათგანთან დაკავშირებული კვლევის შედეგად გამოვლენილი მიგნებები.

გზა, ტრანსპორტირება, სასმელი და სარწყავი წყალი და სხვა ინფრასტრუქტურული საკითხები:

კვლევამ გამოავლინა, რომ ადგილობრივი ქალები ინფრასტრუქტურული პრობლემების წინაშე დგანან. რესპონდენტების მიხედვით, ყველაზე მწვავე პრობლემა ტრანსპორტირების პრობლემაა. მათი თქმით, საჯარო ტრანსპორტის გრაფიკი და ზოგიერთ სოფელში ამ უკანასკნელის საერთოდ არარსებობა, ძალიან ართულებს ადგილობრივი ქალებისა და გოგონების ცხოვრებას. ხშირ შემთხვევაში, ახალგაზრდა კაცები ახერხებენ, სხვადასხვა წყაროს გამოყენებით მივიდნენ დანიშნულების ადგილას, მაგალითად, თუ სოფლიდან მარნეულში რაიმე კურსებზე დადიან, თუმცა, ახალგაზრდა ქალები ამასაც ვერ ახერხებენ, რადგან მათთვის კულტურულად და გენდერული როლის გათვალისწინებით, მიუღებელია, იმგზავრონ უცხო ადამიანების მანქანით, ან ტრაქტორს შეახტნენ და ასე ჩავიდნენ სოფლამდე. შესაბამისად, ქალებზე გაცილებით უარყოფითი გავლენა აქვს უტრანსპორტობას, ვიდრე - კაცებზე. როგორც ერთ-ერთი რესპონდენტი ამბობს:

> *„ჩემს ვაჟიშვილს ვუთხარი, აი, რა კარგია, მარნეულში დადიხარ კურსებზე, მომდევრო ჯერზე შენი დაც წაიყვანე თქო. მაგან მიპასუხა, მე დღეს რომ გამოვედი, ტრანსპორტი აღარ იყო, ჯერ ავტოსტოპით, მერე ტრაქტორით მოვედი, აბა დას სად დავსვამო“* (ორი აბიტურიენტის დიასახლისი დედა სოფლელ ხანჯიღაზლოდან).

რესპონდენტების მიხედვით, განსაკუთრებით რთულ ვითარებაში იმყოფება ისეთი სოფლები, რომლებიც ცენტრალურ მაგისტრალზე არ მდებარეობენ. თუ სოფელი გზის პირას არ არის, სადაც საჯარო ტრანსპორტი დადის (რომლის გრაფიკიც დილის 9-12 საათებში მერყეობს), ეს ძალიან ართულებს ვითარებას გზიდან მოშორებით მდებარე სოფლის მოსახლეობისთვის, რადგან კაცებსაც და ქალებსაც ფეხით უწევთ საკმაო მანძილის გავლა მაგისტრალზე მისაღწევად, შემდეგ კი გამვლელი სამარშრუტო ტაქსისთვის დალოდება. გზიდან დაშორებული სოფლიდან მაგისტრალამდე ზოგჯერ რამდენიმე კილომეტრია, რაც ძალიან ართულებს ვითარებას, განსაკუთრებით ქალებისა და უფრო მეტად, ხანში შესული ქალებისთვის, რომელთაც ფეხით სიარული უჭირთ, ხოლო, ახალგაზრდა ქალებისთვის კი ეს, შესაძლოა, საშიშიც კი იყოს, გენდერული ნიშნით ძალადობის თვალსაზრისით. თუ ვინმე მაინც მოახერხებს სოფლიდან მაგისტრალზე ამოსვლას, ძალიან დიდი ხანი უწევს დგომა და ლოდინი, ზოგჯერ ორი საათიც კი. კვლევის მიხედვით, უტრანსპორტობა ყველაზე მწვავე პრობლემაა. შესაბამისად,

ადგილობრივი ქალების ერთ-ერთ უმთავრეს საჭიროებას გამართული საჯარო ტრანსპორტი წარმოადგენს. როგორც ერთ-ერთი რესპონდენტი ამბობს:

> *„დილით ადრე მიდიხარ ბაზარში, თუ 12 საათს გადაცდა და სოფლის სამარშრუტო ტაქსი უკვე გავიდა, უნდა დაელოდო წითელი ხიდისას, რომელიც სოფლის ტრასაზე გიჩერებს. ბაზრიდან ხელში ამდენი სიმძიმით 3 კმ-ის მარტო გავლა შეუძლებელია. და მეორე, ხარ ქალი, როგორ უნდა იარო ამდენი გზა ფეხით? სოფლიდან ვინმე ნაცნობი მანქანას თუ გაგიჩერებს, მოგერიდება დაჯდომა, მერე ხალხი რას იტყვის? ჰოდა არ არის ჩვენი დღის წესრიგი...“* (43 წლის დიასახლისი, 3 შვილიშვილის ბებია სოფელ ხანჯიღაზლოდან).

სასმელი და სარწყავი წყლის პრობლემა

კვლევამ გამოამჟღავნა, რომ წყალმომარაგების პრობლემა არის იმ საკითხების ჩამონათვალში, რომელიც რიგ სოფლებში საკმაოდ მწვავედ დგას. არსებობს სოფლები, სადაც სასმელი წყალიც კი ხელმიუწვდომელია. რესპონდენტების მიხედვით, აღმოჩნდა, რომ მოსახლეობა სასმელ წყალს საკუთარი სახსრებით, საოჯახო ბიუჯეტიდან ყიდულობს და გაცილებით მეტი ფინანსები ეხარჯება, ვიდრე ეს სახელმწიფოს მიერ უზრუნველყოფილი წყლის დანახარჯის გადასახადით მოუწევდა. კვლევამ გამოავლინა, რომ მარნეულის მუნიციპალიტეტის სოფლების უმრავლესობას, ზოგს ნაკლებად და ზოგს მეტად, სარწყავი/სასმელი წყლის პრობლემა აწუხებს. ერთ-ერთი რესპონდენტი ამბობს, რომ უწყლობა განსაკუთრებით მძიმე მდგომარეობაში ადგილობრივ დიასახლისებს აყენებს, რადგან მათ უწევთ ჯერ ეკონომიის გაწევა და მეორე მხრივ, ეს ზეგავლენას ახდენს მათ ზრუნვით შრომაზე. ხარჯავენ მეტ დროს, მეტ ენერგიას და საერთოდ აღარ რჩებათ დრო სხვა საკითხებზე ფოკუსირებისთვის.

> *„ჩვენს სოფელს ყველაზე მეტად უწყლობა გვაწუხებს. ეს პრობლემა ყველაზე მეტად ჩვენ, ქალებს გვეხება. უწყლობა გვიქმნის სირთულეს. ყოველთვის გვიწევს ეკონომიის გაკეთება“* (დიასახლისი ქალი სოფელ ალგეთიდან).

იმავეს ადასტურებს სხვა რესპონდენტიც:

> *„წყალი ძალიან ფუნდამენტური საჭიროებაა. წლებია, ჩვენი წყლის პრობლემა არ მოგვარდა. მივმართეთ ყველას, ვისთანაც შესაძლებელი*

იყო. მაინც არ მოაგვარეს“ (64 წლის პენსიონეორი მასწავლებელი ალგეთიდან).

კვლევამ გამოავლინა, რომ ადგილობრივი ქალების ერთ-ერთი მთავარი პრობლემა და შესაბამისად, საჭიროება, არის დასალევი და სახლის/ზრუნვის სამუშაოებისათვის საჭირო წყალი.

ასფალტი, გარე განათება და კანალიზაცია

კვლევამ გამოავლინა, რომ ადგილობრივი ქალებისთვის პრობლემად რჩება სოფლის გზების მოასფალტების და გარე განათების დამონტაჟების არარსებობა, რაც განსაკუთრებით საფრთხეს უქმნის ქალებს ღამით გადაადგილებაში. ასევე, მნიშვნელოვან პრობლემად დასახელდა კანალიზაციის არარსებობა. კვლევამ გამოამჟღავნა, რომ კანალიზაცია არც ქალაქში და არც სოფლებში არ არის. სახლში ყველას ჭა აქვს, სადაც, საკანალიზაციო წყალი გროვდება და რამდენიმე წელიწადში ერთხელ საკანალიზაციო მანქანას ქირაობენ და წმენდენ. თუმცა, აქ საინტერესო ის არის, რომ არც ერთი რესპონდენტი ქალი ამ საკითხს მთავარ პრობლემად არ აღიქვამს, მათ უბრალოდ წარმოდგენაც კი უჭირთ, თუ როგორი იქნებოდა ცხოვრება საკანალიზაციო ხაზის არსებობის შემთხვევაში. ისინი ამბობენ, რომ თუ საკანალიზაციო სისტემა აშენდება, ეს კარგი იქნება, მაგრამ თუ არა, ამით არაფერი დაშავდება.

ნარჩენების მართვა

კვლევამ გამოავლინა, რომ მარნეულის მუნიციპალიტეტის სოფლებში სანაგვე ურნების ნაკლებობაა. ზოგ სოფელში მხოლოდ შესასვლელში დგას ერთი ურნა, რომელიც სოფელს არ ყოფნის. ქალები ამბობენ, რომ ეს მათზე დიდ გავლენას ახდენს, რადგან ნაგვის გადაყრა მათ ეხებათ, თუმცა, ადგილობრივმა კაცებმაც რომ მიმართონ სოფლის დეპუტატს, აზრი არ აქვს, რადგან შესაძლოა, დამატებით მხოლოდ ერთი სანაგვე ურნა დადგან, რომელიც სოფელს არც ეყოფა და შესაბამისად, პრობლემას ვერ მოაგვარებს. არსებობს სანაგვე ტერიტორია, სადაც ნარჩენებს ყრიან, მაგრამ ეს სოფლის ეკოლოგიურ მდგომარეობაზე ცუდ გავლენას ახდენს. ერთ-ერთი რესპონდენტის თქმით,

„გვინდა სოფელში, ყველა ქუჩასთან სანაგვე ურნა დადგან. ჩვენ ნაგავს ვყრით სანაგვე არეალზე, ე. წ. მთაზე. სხვა გამოსავალი არ გვაქვს, სახლში

ვერ შევაგროვებთ იმ ნაგავს. ვისი სახლებიც იმ მთასთან ახლოსაა, ცუდი სუნი იგრძნობა, განსაკუთრებით - ზაფხულში. ეს ყველაფერი ჰაერს აბინძურებს და ბავშვები ამიტომაც ხშირად ხდებიან ავად“ (პენსიონერი ქალი სოფელ თექალოდან).

კვლევამ გამოავლინა, რომ ეს ქალების მძიმე საშინაო შრომის კიდევ უფრო დამძიმება და ტვირთია, ისედაც უამრავ საყოფაცხოვრებო მოვალეობასთან ერთად.

„ჩვენს სოფელში მხოლოდ 2 ნაგვის ურნა დგას სოფლის შესასვლელში, ნაგავს სანაგვე მანქანა ადრე 5 დღეში ერთხელ აგროვებდა, ეხლა 10 დღეში ერთხელ თუ მოვა, ეგეც გვიხარია. ნაგვის გატანა გზაჯვარედინზე გვიწევს. ეს არის დამატებითი საქმე ქალის ისედაც უამრავ საყოფაცხოვრებო მოვალეობებთან ერთად“ (დიასახლისი სოფელ წითელისოფლიდან).

ქართული ენის პრობლემა

კვლევამ გამოამჟღავნა, რომ მარნეულის მუნიციპალიტეტში სოფლად მცხოვრები ქალების ერთ-ერთ მთავარ პრობლემას და შესაბამისად, საჭიროებას, ქართული ენის არცოდნა წარმოადგენს. თუ პრობლემები და საჭიროებები ზოგიერთ სოფელში ერთმანეთისგან განსხვავებულია, ქართული ენის არცოდნის პრობლემა და ენობრივი ბარიერი ყველა სოფელში მცხოვრებ ადგილობრივ ქალს თანაბრად აწუხებს. ეს ისეთ ახალგაზრდა ქალებსაც ეხებათ, რომლებიც 20-25 წლის ასაკამდე, ადრეულად დააქორწინეს და მოუწიათ სასკოლო და საუნივერსიტეტო განათლების საფეხურის გამოტოვება. როგორც კვლევის რესპონდენტები თანხმდებიან, ქართული ენის არცოდნა მათში სირცხვილის განცდასა და, შესაბამისად, დაბალ თვითშეფასებას იწვევს, რომელიც ცხოვრების განმავლობაში ბევრ რამეში უშლით ხელს. მათ შორის, ელემენტარულად, შვილის ექიმთან ვიზიტის დროს, ისინი ვერ ახერხებენ ნორმალურად კომუნიკაციას ქართულენოვან ექიმებთან.

„ენის არცოდნა ჯოჯოხეთია. მაგალითად, მე 24 წლის ვარ, მყავს ორი მცირეწლოვანი შვილი. ხშირად გვიწევს მარნეულში ან თბილისში ექიმთან წასვლა და ყოველთვის სირცხვილის შეგრძნება მაქვს, რადგან არც მე და არც ქმარი ქართულ ენას არ ვფლობთ. ქმარმა რუსული იცის, მე არც რუსული არ ვიცი“ (24 წლის ახალგაზრდა დედა მარნეულის მუნიციპალიტეტის სოფელ ალგეთიდან).

ენის ბარიერი მოსახლეობის ყოველდღიურ ცხოვრებას ართულებს. ისინი ამბობენ, რომ სახელმწიფო ენა რომ არ იციან, თავს დამნაშავედ გრძნობენ, ეს გრძნობა კი გამოწვეულია სახელმწიფოსა და ქართველი მოსახლეობის მათ მიმართ დამოკიდებულებით, რომლებიც ამუნათებენ მათ, თითქოს აზერბაიჯანელი ქალების ბრალია, ქართული რომ არ იციან.

კვლევამ გამოამჟღავნა, რომ ადგილობრივი ქალებისთვის პრობლემაა ქართულენოვან მოსახლეობასთან კომუნიკაციაც. კვლევის რესპონდენტი ადგილობრივი ქალი მასწავლებლები ამბობენ, რომ საბჭოთა კავშირის დროს სკოლაში რუსულს მაინც სწავლობდნენ ადგილობრივი ქალები და ასე მაინც ახერხებდნენ კომუნიკაციას საქართველოს სხვა მოქალაქეებთან. 90-იანი წლების შემდეგ რუსულის სწავლებაც გაქრა და აზერბაიჯანელი ქალები სრულ ვაკუუმში აღმოჩნდნენ. ისინი საბჭოეთის დაშლის შემდგომ პერიოდს შავ დღეებს უწოდებენ და ამბობენ, რომ ყველა ის ენობრივი პრობლემა, რომელიც დღეს მოსახლეობას ცხოვრებას ურთულებს, იმ პერიოდის გადმონაშთია. ერთ-ერთი რესპონდენტი მასწავლებელი ამბობს, რომ ადგილობრივი პედაგოგები პროფესიულ გადამზადებას გადიან და მაგალითად, მათ სოფელში უკვე ჰყავთ ისეთი მასწავლებელი, რომელმაც ქართული კარგად იცის.

> *„მე ვარ 53 წლის მასწავლებელი და ვასწავლი აზერბაიჯანულ ენასა და ლიტერატურას. მასწავლებლებისთვის ქართულის სწავლა აუცილებელია და ჟვანიას სკოლის პროფესიულ კურსებს გავდივართ კვირაში სამჯერ, თითო საათი. ამით მთავრდება ჩვენი ქართულთან შეხება. გარემო აზერბაიჯანულია და სოფელში ქართულის ერთი მასწავლებელია, რომელიც მშვენივრად ფლობს აზერბაიჯანულს“* (53 წლის მასწავლებელი სოფელ მოლაოღლუდან).

რაც შეეხება მარნეულის სომხურენოვან ქალ რესპონდენტებს, მათაც არ იციან ქართული ენა და ეს პრობლემა მწვავედ დგას, თუმცა ისინი რუსული ენის ცოდნას იყენებენ კომუნიკაციის დროს და უფრო თავისუფლად იღებენ სხვადასხვა სერვისებს ქართულ დაწესებულებებში, საავადმყოფოებსა თუ საჯარო ინსტიტუტებში.

> *„მე ქართული მეტ-ნაკლებად მესმის, თუმცა მშვენივრად ვიცი რუსული. თბილისში ხშირად ჩავდივარ ბანკში, მარკეტში, ბაზარში თუ საავადმყოფოში. ყველგან ჩვეულებრივ ვიყენებ რუსულს და ვიღებ შესაბამის მომსახურებას“* (დიასახლისი ქალი სოფელ წითელისოფელიდან).

კვლევამ გამოავლინა, რომ ენობრივი პრობლემები უფრო მეტად 36+ ასაკის ადგილობრივ ქალებს აქვთ. სტუდენტი რესპონდენტების თქმით, ეს მათთვის ისეთი დიდი მასშტაბის პრობლემას აღარ წარმოადგენს. ასევე, რესპონდენტების თქმით, სკოლის უფროსკლასელ მოსწავლეებსაც მეტ-ნაკლებად გამოსდით ქართულად ლაპარაკი. თუმცა, აქ კვლევამ გამოავლინა ერთი მოვლენა. რესპონდენტების თქმით, სკოლაში ქართულის ძალიან ელემენტარული დონე ისწავლება და ის ენა, რომელსაც სკოლაში ასწავლიან, ახლოსაც არ მოდის იმ ენასთან, რომელიც უკვე მოგვიანებით, თბილისში ჩამოსულ ახალგაზრდებს ხვდებათ. მაგალითად, მოსამზადებელი საფეხურის სტუდენტი მარნეულის სოფელ ქუთლიარიდან ამბობს, რომ სკოლაში მათ ელემენტარულ ცოდნას აძლევენ, უნივერსიტეტში კი გაცილებით მაღალ დონეზე ასწავლიან ქართულ ენას. იგივე რესპონდენტი ამბობს, რომ კარგი იქნება, თუ სკოლიდანვე დაიწყება ქართულის საფუძვლიანი პრაქტიკული სწავლება.

> *„მე მოსამზადებელზე (1+4 ქართულ ენაში მომზადების ერთწლიანი პროგრამა) წელს ჩავაბარე. მანამდე მეგონა, რომ ქართული კარგად მესმოდა. უნივერსიტეტის პირველ დღეებში მივხვდი, რომ საკმაო ბარიერი მაქვს. სკოლაში ენას რადგან არ ვიყენებთ და ქართველის საუბარი მხოლოდ მასწავლებლისგან გვესმის, პრაქტიკა არ გაგვაჩნია“* (18 წლის გოგო სოფელ ქიუთლარიდან).

რესპონდენტები ამბობენ, რომ ქართულის არცოდნის გამო, ადგილობრივი ქალები ინფორმაციულ ვაკუუმში იმყოფებიან. შესაბამისად, ადგილობრივი საქმეების გადაწყვეტაში კი არა, ისინი ზოგადად, საკუთარ ცხოვრებაშიც ვერ ახერხებენ ინფორმაციის მიღებასა და ანალიზს. რესპონდენტების თქმით, ეს მათ განვითარებაზე უარყოფით გავლენას ახდენს.

კვლევამ გამოავლინა, რომ მიუხედავად იმისა, რომ არსებობს 1+4 პროგრამა, ის სტუდენტებზეა გათვლილი და ადგილობრივი დიასახლისი ქალებისათვის ენის სწავლების მიმართულებით სახელმწიფო არაფერს აკეთებს. რესპონდენტები თანხმდებიან, რომ უფროსი თაობისთვის ენის სწავლების მიმართულებით, სახელმწიფო პროგრამები არ არსებობს.

> *„ბავშვები, ჩვენი შვილები ენას მეტ-ნაკლებად სკოლაში სწავლობენ. ქმრებმა რუსული მაინც იციან. მასწავლებლები პროფესიული განვითარებისთვის ვალდებული არიან, რომ ისწავლონ და კურსებზე დადიან და ჩვენ, დიასახლისმა ქალებმა, რა ვქნათ?“* (დიასახლისი ქალი სოფელ ხანჯიღაზლოდან).

კვლევამ გამოავლინა, რომ ქართული ენის არცოდნის გამო რესპონდენტ დიასახლის ქალებს სახელმწიფო პროგრამებსა და სერვისებზე როგორც ცენტრალური ისევე ადგილობრივი ხელისუფლების საქმიანობის შესახებ ინფორმაცია არ გააჩნიათ. შესაბამისად, ისინი ვერანაირ ჩართულობას ადგილობრივი პოლიტიკის შექმნისას ვერ ახერხებენ.

კვლევამ გამოავლინა, რომ რეგიონში უფროს თაობას ქართულ ენას ჟვანიას სკოლაში ასწავლიან, რომელიც მხოლოდ მუნიციპალურ ცენტრში, მარნეულში მდებარეობს. ადგილობრივ დიასახლის ქალს ქართული ენის სწავლა რომც სურდეს, ტრანსპორტირების პრობლემა შეუშლის ხელს და ვერ მოახერხებს კვირაში რამდენჯერმე ენის გაკვეთილებზე დასწრებას. შესაბამისად, დიასახლისი რესპონდენტები თვლიან, რომ მათთვის მთავარი საჭიროებაა, ყველა სოფელში გაიხსნას ისეთი სივრცე, რომელშიც ქართულ ენაზე სწავლება და საუბარი გახდება შესაძლებელი. დღემდე ასეთ სოფლებში სკოლაა ერთადერთი დაწესებულება, სადაც ქართულს ასწავლიან, ისიც მხოლოდ მოსწავლეებზეა გათვლილი და დღის ორ საათზე იკეტება.

> *„მე ვარ სამი შვილის დედა, საყოფაცხოვრებო საქმეებში ჩემი გოგონები მეხმარებიან. მე მთელი დღე სათბურში, მიწაზე ვმუშაობ. მასწავლებლებს ჟვანიას სკოლა ასწავლის ქართულს, მე მხოლოდ პომიდვრის მყიდველები რომ მოდიან სეზონზე, მაშინ მესმის ქართული“* (დიასახლისი ქალი სოფელ მუღანლოდან).

კვლევამ გამოამჟღავნა, რომ ქართული ენის შესწავლაში წვლილი არასამთავრობო სექტორს და კერძოდ ე. წ. სათემო ცენტრებს შეაქვთ. ასეთ ცენტრებში არსებობს ენის უფასო კურსები ახალაგზრდებისა და ზოგადად, მოსახლეობისათვის. თუმცა, დღესდღეობით, მარნეულის 84 სოფლიდან მხოლოდ 15-მდე სოფელშია დაარსებული სათემო ცენტრი და აქედან მხოლოდ ნახევარს აქვს ისე აღჭურვილი სივრცე, რომ იქ ადამიანებმა ენის შესწავლა შეძლონ და ეს აღჭურვილობა არასამთავრობო სექტორის გაკეთებულია.

სკოლამდელი განათლების პრობლემა

კვლევამ გამოავლინა, რომ ადგილობრივი ქალებისთვის მთავარი პრობლემა და საჭიროება განათლება და საგანმანათლებლო დაწესებულებების სიმცირე, არარსებობა, ან მათი დაბალი ხარისხია. ისინი თვლიან, რომ უხარისხო განათლება არის ადგილობრივი ქალების ყველა პრობლემის, მათ შორის, ადრეული

ქორწინების, ენობრივი ბარიერების, ოჯახში ძალადობისა და კაცების ძალადობრივი ქმედებების სათავე. დაბალი ხარისხის განათლებას კი რამდენიმე ძირეული გამომწვევი მიზეზი აქვს. რესპონდენტების მიხედვით, ყველაზე მთავარი პრობლემა და საჭიროება ბაგა-ბაღებისა და სკოლამდელი განათლების არარსებობაა მთლიან მუნიციპალიტეტში. იმ სოფლების უმეტესობაში, სადაც კვლევის ფარგლებში ფოკუს-ჯგუფები ჩატარდა, ბაგა-ბაღი არ არის. მარნეულში სულ 84 სოფელი და 14 საბავშვო ბაღი ფუნქციონირებს. 15 სოფლიდან, სადაც კვლევის ფარგლებში შეხვედრები ჩატარდა, მხოლოდ რამდენიმეში არის ან ბაგა-ბაღი, ან საჯარო სკოლაში არსებული სკოლამდელი განათლების სივრცე. რესპონდენტების თქმით, იქიდან გამომდინარე, რომ მარნეულის მუნიციპალიტეტის სოფლებში საბავშვო ბაღები არ არის, სკოლამდელი განათლების ასაკის ბავშვები იმ ცოდნის მიღმა რჩებიან, რომელიც მათი ასაკობრივი განვითარებისთვის არის საჭირო. ადგილობრივები ცდილობენ, ბავშვები სახლში მოამზადონ, თუმცა ყველა დედას და ოჯახს არ აქვს იმის დრო და რესურსი, რომ ეს ქნას.

> *„სოფელია, მეურნეობა გვაქვს, ქონება გვაქვს. მშობლები ხან მეურნეობაში დადიან, ხან - ფერმაში. ბავშვებისთვის შესაბამისი დრო აღარ გვჩება. მამა სადღაც სამუშაოდ მიდის, ბავშვი კი დედის იმედზე რჩება. დედა არის ოჯახი, სახლი, მეურნეობა - ისინი მუშაობენ. მათ ცოტა დრო აქვთ ბავშვების მოვლისა და სწავლებისთვის“* (დიასახლისი ბებია სოფელ ხანჯიღაზლოდან).

რესპონდენტები ამბობენ, რომ ბაღების არარსებობის გამო, ადგილობრივი ბავშვები განვითარებას ჩამორჩებიან. ისინი სკოლაში ნულოვანი ცოდნით მიდიან და პირველ კლასში ძალიან უჭირთ სასკოლო მასალის ათვისება.

> *„ჩემი დღეს დილის 7-ზე იწყება, ზოგჯერ - 6-ზე. დღე სახლის დალაგებაში, მეურნეობაში მუშაობაში, საჭმლის მომზადებაში, საქონლისა და ფრინველების მოვლაში ისე გადის, რომ ბავშვს ყურადღებას ვერც ვაქცევ. ელემენტარულ მოთხოვნებს ვაკმაყოფილებ, ვაჭმევ და მგონია, რომ ამით მოგვარდა, მაგრამ ვიცი, რომ მას ჩემი ყურადღება სჭირდება. თუ ბაღი იქნება, ბავშვი წავა და იმ დროში, როდესაც ამდენ საქმეში ჩემი ყურადღების მიღმა რჩება, სასარგებლო ინფორმაციას მიიღებს“* (დიასახლისი ახალგაზრდა დედა სოფელ თექალოდან).

კვლევის რესპონდენტი მასწავლებელი ქალებიც იზიარებენ მშობლების მოსაზრებას, რომ ბავშვები პირველ კლასში ნულოვანი ცოდნით მოდიან და შემდეგ ამის გამო, სწავლა უძნელდებათ. ბავშვებს უბრალოდ არ ესმით მასწავლებლის ახსნილი ელემენტარული მასალაც კი. შეჯამებისთვის, შესაძლოა, გაკეთდეს დასკვნა, რომ ადგილობრივი ქალებისთვის, როგორც დიასახლისებისთვის, დედებისთვის, ან როგორც უბრალოდ მომავალი თაობისთვის, უმთავრეს საჭიროებას სკოლამდელი განათლების დაწესებულებების შექმნა წარმოადგენს. კვლევამ გამოამჟღავნა, რომ შესწავლილ სოფლებში, ქალებისთვის ასევე ერთ-ერთ უმთავრეს საჭიროებას ხარისხიანი სასკოლო განათლება წარმოადგენს.

რაც შეეხება განათლების ხელისშემწყობ მოვლენებს, - ეს 1+4 პროგრამა, მარნეულის პროფესიული კოლეჯი, სადაც უფასო კურსებიც არის ქალებისათვის, და სათემო ცენტრებია. სათემო ცენტრი იძლევა ადგილობრივ დონეზე ქალებთან მუშაობის უნიკალურ შესაძლებლობას. მარნეულის მუნიციპალიტეტის სოფელ მოლაოღლუს ცენტრის დამფუძნებლების თქმით, საზოგადოებრივი ცენტრის დაარსების უპირველესი მიზანი ადგილობრივების სხვადასხვა სოციალური პრობლემის გადაჭრაში დახმარებაა, ასევე, ახალგაზრდული სამიზნე ჯგუფებისა და ადგილობრივი თემის წევრების მხარდაჭერა და მათი ცნობიერების ამაღლება ისეთ საკითხებზე, როგორებიცაა გენდერული თანასწორობა და უმცირესობების უფლებები. საზოგადოებრივი ცენტრების მთავარი ინსტრუმენტია სამიზნე ჯგუფების არაფორმალური განათლება და შემდეგ, ახალგაზრდებისა და მოზარდების სხვადასხვა ინიციატივებსა და აქტივობებში ჩართვის წახალისება. ეს მოიცავს ტრეინინგებს, სემინარებს, კურსებს, ჯგუფურ მუშაობას, დისკუსიებს და ა. შ. რესპონდენტების თქმით, ეს ყველაფერი, სავარაუდოდ, ადგილობრივ ახალგაზრდა ქალებზეც დადებით გავლენას ახდენს.

> *„ჩვენი მიზანი იყო ახალგაზრდებისა და თაობის ჩამოყალიბება, რომელიც ხელს შეუწყობს სახელმწიფოს განვითარებას ეროვნული სულისკვეთებით. საზოგადოებრივი ცენტრების მისიაა კარგი მოქალაქეების აღზრდა. ჩვენ ვასწავლით ჩვენს ფუნდამენტურ უფლებებს, როგორც ახალგაზრდებს, ასევე საზოგადოების სხვადასხვა წევრებს. ეს სერვისები და რესურსები ჩვენთან რომ არ მოვიდა, ჩვენ ადგილზე შევქმენით, რაც გვჭირდებოდა“* (კამრან აპანდიევი, ხულდარას სათემო ცენტრის დამფუძნებელი).

რესპონდენტების აზრით, სათემო ცენტრის მუშაობის სპეციფიკა ხელს უწყობს ადგილობრივი ქალების ლოკალურ პოლიტიკებში ჩართულობას. სათემო ცენტრი ხელს უწყობს და აჩვევს ადგილობრივებს, გამოხატონ აზრი და გახდნენ მოქმედი

პირები, რომელთა აზრებსაც ისმენენ და თემისთვის მნიშვნელოვანია. რესპონდენტების თქმით, ყოველი პროექტის წინ, სათემო ცენტრების აქტივისტები მცირე გამოკითხვის დახმარებით, აგროვებენ ადგილობრივი მოსახლეობის მოსაზრებებს. ისინი აწყობენ სოფლის შეკრებებს, ისმენენ მათ საჭიროებებსა და ინტერესებს. ამის შემდეგ, ადგილობრივებისგან ამზადებენ შეგროვებული ინფორმაციის შესაბამის ანალიზს და ბოლოს, შედეგების მიხედვით, შეიმუშავებენ კონკრეტული პროექტის იდეას. სათემო ცენტრის მთავარი დადებითი მხარე ადგილობრივების ემანსიპაცია და მათი გაძლიერებაა. რესპონდენტების თქმით, სათემო ცენტრებმა შეითავსეს სხვადასხვა საკითხების ადვოკატირების კამპანიაც. ერთ-ერთი რესპონდენტი ამბობს, რომ სამუშაოს, რომელსაც სახელმწიფო უწყებები არ აკეთებენ, ცდილობენ, სათემო ცენტრის მეშვეობით უზრუნველყონ.

სათემო ცენტრები - ადგილობრივი ქალებისათვის

კვლევამ გამოამჟღავნა, რომ მარნეულის მუნიციპალიტეტის სოფლების ქალი რესპონდენტების მიხედვით, მათ თემში ყველაზე ნაკლებად გართობის საშუალებებს ექცევა ყურადღება და ეს რეალურ პრობლემას წარმოადგენს, რომელიც ხელს უშლის ადგილობრივი ქალების სოციალიზაციასა და განვითარებას. თუმცა, რესპონდენტების აზრით, ეს შემდეგი საფეხურია და შესაბამისად, მათი საჭიროება დღის წესრიგში მწვავედ არ დგას.

> *„ელემენტარულად, სასმელი წყალი არ გვაქვს სოფელში... კაფეში წასვლის თავი არავის აქვს ამ სოფელში. ჯერ სასმელი წყლის პრობლემა მოაგვარონ, მერე მიხედონ გართობას“* (პენსიონერი ქალი სოფელ საბიქენდიდან).

გასართობი საშუალებების ნაცვლად, რესპონდენტებმა აქცენტი ისევ საგანმართლებლო-შემეცნებით საკითხებზე გააკეთეს. ისინი ფიქრობენ, რომ თუ სოფლებში სათემო ცენტრი იარსებებს, რომელსაც სახელმწიფო გახსნის და მიხედავს, უფრო სასარგებლო იქნება მოსახლეობისთვის და ადგილობრივი ქალებისათვის. რესპონდენტები ფიქრობენ, რომ სათემო ცენტრი, შესაძლოა, იყოს ის სივრცე, სადაც ქალები მარტივად შეიკრიბებიან და თუნდაც ყოველდღიურ საკითხებს განიხილავენ. ქალები ასეთ ცენტრებში მოახერხებენ ინფორმაციის მიღებას, ანალიზსა და გაცვლას. რესპონდენტები ამბობენ, რომ მსგავსი სათემო ცენტრის წარმატებული მაგალითი მარნეულის 2 სოფელში უკვე არის. სოფელ ხულდარასა და მოლაოღლის სათემო ცენტრებში პირველად შეიქმნა ქალებისთვის მეგობრული სივრცე. სათემო ცენტრები, სადაც ძირითადად ახალგაზრდები დადიოდნენ, დიასახლისი ქალებისთვისაც ღია აღმოჩნდა. ამან კი ის გამოიწვია,

რომ მათ პროექტი „დედების სკოლა“ განახორციელეს, რომლის ფარგლებშიც, ქალები კვირაში რამდენჯერმე იკრიბებოდნენ, ესწრებოდნენ სხვადასხვა საგანმანათლებლო და ენობრივ კურსსა და საინფორმაციო შეხვედრას. ამასთან, ქალებს მიეცათ მცირე ბიზნესის ინიცირების პროექტზე ერთობლივი, გუნდური მუშაობის საშუალებაც. ამ პროექტის შედეგად, დღეს აღნიშნულ 2 სოფელში (ხულდარა/მოლაოღლუ) ქალები მცირე მეწარმეები გახდნენ. მათ გახსნეს სილამაზის სალონი, საცხობი, იღებენ შეკვეთებს და აცხობენ ტკბილეულს/აზერბაიჯანულ ფატირს (ლავაში) და სხვ. დედათა სკოლის ერთ-ერთი კურსდამთავრებული, რომელმაც ასევე საკუთარი ბიზნესი გახსნა, ამბობს, რომ ასეთ სათემო ცენტრში სიარულით ცხოვრების საუკეთესო გამოცდილება მიიღო.

> *„ჩვენ სათემო ცენტრის მეშვეობით ბევრს მივაღწიეთ. მინიმუმ ის, რომ დღეს შემოსავალი გვაქვს, ამ სათემო ცენტრის დამსახურებაა. მე თვითონ მართვის მოწმობის აღებისთვის უფასო კურსი გავხსენი და 10-მდე ქალი ერთად წავედით გამოცდაზე და მართვის მოწმობები ავიღეთ. რომ არა ეს სათემო ცენტრი, ჩვენ შეკრების ადგილიც კი, არ გვაქვს“* (მცირე მეწარმე ქალი სოფელ მოლაოღლუდან).

ისეთ სოფლებში, სადაც სათემო ცენტრებია, რესპონდენტების თქმით, ახალგაზრდა ქალებს დაბრუნება და ცხოვრება უხარიათ, რადგან ადგილზეა განვითარების საშუალება. ამავე დროს, ისეთ სოფლებში, სადაც ქალებს საშუალება ჰქონდათ, ქალურ სივრცეებში ევლოთ, ადგილობრივ ქალებს შორის ასაკობრივი სხვაობა გაქრა. ყველა ასაკის ქალს შეუძლია ერთმანეთთან საუბარი და გამოცდილების გაზიარება. ამ ყველაფერმა, შესაძლოა, დადებითი გავლენა იქონიოს მათ ადგილობრივ პოლიტიკაში ჩართულობაზე.

სოფლად მცხოვრები ქალების დასაქმების პრობლემა

როგორც უკვე აღინიშნა, ფოკუს-ჯგუფებმა გამოავლინა, რომ მარნეულის მუნიციპალიტეტში სოფლად მცხოვრები ქალების უმეტესობა უმუშევარია. მათი ძალიან მცირე ნაწილია სახლის გარეთ დასაქმებული. თუმცა, ქალები, მიუხედავად იმისა, დასაქმებულები არიან თუ არა (მაგალითად, ზოგიერთი მათგანი მასწავლებელია, მკერავი, ექთანი, მცირე მეწარმე თუ სხვა), საკუთარ თავს დიასახლისს უწოდებენ. ასეთია ადგილობრივი გენდერული წესრიგი. ქალობა, პირველ რიგში, ნიშნავს დიასახლისობას, რომელიც, რა თქმა უნდა, ხელს უწყობს ქალების მომთმენ და მხოლოდ კერძო, სახლის სივრცეში მცხოვრებ არსებებად ჩამოყალიბებას მარნეულში, ნაცვლად იმისა, რომ ისინი აქტიურები, კრიტიკულები

და მოქმედი ადგილობრივი მოაქალაქეები იყვნენ. მათი გენდერული როლი და ამ როლზე თემის მოლოდინი მთავარი ხელისშემშლელი ფაქტორია მათ სამოქალაქო ჩართულობაში.

გამოკითხული ქალებიდან არც ერთი არ არის მარნეულის მუნიციპალიტეტის სახელმწიფო უწყებაში დასაქმებული. გამოკითხულებს შორის, მხოლოდ პროფესიით მასწავლებლებს აქვთ ფიქსირებული ხელფასი და სტაბილური შემოსავალი. ფოკუს-ჯგუფების მონაწილეთა სრული უმრავლესობა ამბობს, რომ სოფლებში უმუშევრობის პრობლემაა. კაცები ემიგრაციაში არიან სამუშაოდ წასულები (პოლონეთი, გერმანია და სხვ.). გამოკითხულების აზრით, საჭიროა, სახელმწიფომ გახსნას ქარხნები და ადგილობრივი ქალებიც, რომლებმაც განათლების მიღება ვერ მოახერხეს, ასეთ ქარხნებში დასაქმდებიან.

> *„მე განათლება არ მიმიღია, 16 წლის ასაკში გამათხოვეს. ქმარი პოლონეთში მყავს. მე მუშად დავდიდავ ყანაში, რათა ოჯახში შემოსავალი შევიტანო. გახსნას მთავრობამ ქარხნები და წავალთ, იქ მაინც ვიმუშავებთ“* (დიახალისი ქალი სოფელ დამიაგორარხიდან).

ჯანდაცვის სერვისებზე ხელმისაწვდომობა, ამბულატორიებისა და აფთიაქების არარსებობა

რესპონდენტები თანხმდებიან, რომ ადგილობრივი ქალებისთვის ერთ-ერთი მთავარი პრობლემა და საჭიროება ჯანდაცვის სერვისებზე ხელმისაწვდომობა, ამბულატორიებისა და აფთიაქების არარსებობაა. სოფლების უმრავლესობას ამბულატორია არ გააჩნია. რესპონდენტების თქმით, ადმინისტრაციულ ერთეულს ერთი ექიმი ჰყავს, რომლის ფუნქციაც მხოლოდ და მხოლოდ მიმართვების გაცემაა. რესპონდენტი ქალების თქმით, ამბულატორიების არარსებობა სოფლის მოსახლეობისთვის მნიშვნელოვანი პრობლემაა. სასწრაფოც კი არ არსებობს, რომელსაც მარნეულიდან თუ გამოიძახებენ, ყველაზე უკეთეს შემთხვევაში, საათნახევარში მოდის.

> *„ოჯახში ენა მხოლოდ მე ვიცი. ბებია გამიხდა ცუდად და დავრეკე სასწრაფოში. მითხრეს, რომ მოდიოდა. გავიდა საათზე მეტი. დავრეკე ისევ. მითხრეს, რომ სხვა სოფელში დაჭრის შემთხვევაა და იქიდან გამომდინარე, რომ მაღალ წნევაზე უფრო მნიშნელოვანი საკითხია, მანდ ერჩივნათ წასვლა...“* (19 წლის სტუდენტი სოფელ ქუთლიარიდან).

გამოკითხულთა აზრით, ერთ-ერთი საჭიროება ამბულატორიაა, რომელიც სოფელში ელემენტარულ შესაძლებლობას შექმნის, რომ ქალებმა მოახერხონ

ჯანდაცვის სერვისების მიღება და ამ ყველაფერმა მათზე დადებითად იმოქმედოს. რესპონდენტების აზრით, შეუძლებელია, ჯანდაცვის სერვისების გაუმართაობას ადგილობრივი ქალების სათემო პოლიტიკაში ნებისმიერი ფორმით ჩართულობაზე გავლენა არ ჰქონდეს. ამასთან, თუ სოფლებში ამბულატორიები გაჩნდება, ადგილობრივი ექთანი ქალები დასაქმდებიან კიდეც.

> *„სოფელში გვყავს პროფესიით მედდა ქალები. მათ თავის დროზე მიიღეს განათლება, მაგრამ დღეს უმუშევრები არიან. ამბულატორია თუ გაიხსნება, შეიძლება, მათთვის დასაქმების ადგილიც გაჩნდეს. ლოგიკურად ვვარაუდობ, რომ იმ შემთხვევაში, თუ ამბულატორია გაიხსნა, 10-ამდე ქალი შეიძლება ადგილზე, სოფელშივე დასაქმდეს“* (მასწავლებელი სოფელ იმიდან).

გამოკითხული ქალები ამბობენ, რომ ნებისმიერი პრობლემის დროს ექიმთან მიმართვისას, მათ უწევთ მარნეულში ან თბილისში წასვლა, რაც დამატებით ხარჯებთანაა დაკავშირებული. იქიდან გამომდინარე, რომ სახელმწიყო დაზღვევა თითქმის არაფერს ფარავს, ერთჯერადად, საპროფილაქტიკოდ ექიმთან ვიზიტისთვის დიდი თანხაა საჭირო.

> *„ქალს ექიმთან წასასვლელად სჭირდება გვერდით მეორე ადამიანი. ენა ჩვენ არ ვიცით. მარნეულში კიდევ როგორმე ხერხდება კომუნიკაცია. თბილისში ყველგან ყველაფერი მხოლოდ ქართულადაა. ექიმი ამბობს, რომ პაციენტი მარტო უნდა იყოს. აბა მე რას გავაგებინებ, რუსულიც არ ვიცი. ვინც რუსული იცის, ისინიც გამორიცხულია, რუსულად არ პასუხობენ“* (დიასახლისი ქალი სოფელ მუღანლოდან).

ამის გარდა, რესპონდენტი ქალები ამბობენ, რომ ამბულატორია თუ იარსებებს, სკრინინგებს მსხვილი კლინიკებიც სოფლებში გააკეთებდნენ და ქალები დროულად მიიღებენ ყველა იმ საშეღავათო შეთავაზების შესახებ ინფორმაციას, რომელიც ქვეყანაში არსებობს.

> *„სოფლებში კლინიკების აგენტები მუშობენ, რომლებიც ინფორმაციას ავრცელებენ. მაგრამ ეს ინფორმაცია ყოველთვის დროულად არ მოდის ჩვენამდე. გვიან ვიგებთ, რომ თურმე უფასო სკრინინგი ჩატარებულა ქალებისთვის მარნეულში“* (დიასახლისი ქალი სოფელ თექალოდან).

ნაადრევი/იძლებითი ქორწინება-ნიშნობა, ოჯახში ძალადობა

ფოკუს-ჯგუფების დროს არსებული განხილვებისას, თემებზე, როგორებიცაა ადრეული ქორწინება, ნაადრევი/ძალებითი ნიშნობა, ქალზე/ოჯახში ძალადობა, განხილვის დაწყებას სიფრთხილე სჭირდებოდა. ნეგატივის თავიდან აცილების მიზნით, ზოგადად, განვითარების ხელისშემშლელ ფაქტორებს შორის განიხილებოდა ადრეული ქორწინების საკითხი, ხოლო ქალთა უფლებების სათაურის ქვეშ - ოჯახში ძალადობის საკითხი.

განხილვებიდან გამომდინარე, აღმოჩნდა, რომ ზოგადი სახით, ადრეულ ქორწინებას მარნეულის მუნიციპალიტეტის სოფლებში სხვადასხვა დღის წესრიგი აქვს. სოფელ დამია გორარხის ფოკუს-ჯგუფში არსებულმა მონაწილეებმა, დანარჩენი სოფლების გამოკითხული რესპონდენტებისგან განსხვავებით, აღიარეს, რომ სოფელში ადრეული ქორწინების პრობლემა მწვავედ დგას.

უფრო დეტალურად, ფოკუს-ჯგუფებიდან გამოიკვეთა, რომ იმ სოფლებში, სადაც ადრეული ქორწინების პრობლემა მწვავედ დგას, სკოლა 9-წლიანია, ხოლო, ბაგა-ბაღი, ან რაიმე ფორმით სკოლამდელი განათლება და სათემო ცენტრები არ არსებობს. სოფელში ერთადერთი სახელმწიფო უწყება სკოლაა, რომელიც შუადღის შემდეგ იკეტება.

ქალები ამბობენ, რომ იმ სოფლებში, სადაც 12-წლიანი განათლების მიღების საშუალება არ არსობობს, 9 კლასის დამთავრების შემდეგ, ოჯახების უმრავლესობა ქალიშვილს სხვა სოფლის სკოლაში არ უშვებს. მიუხედავად იმისა, რომ ამტკიცებენ, თითქოს მოტაცებები დაქორწინების მიზნით აღარ ხდება, უმრავლესობა თავიანთი გოგოების სხვა სოფელში სასწავლებლად არგაშვებას მოტაცების შიშით ამართლებს.

> *„ულამაზესი ქალიშვილი მყავს, 9 კლასი დაამთავრა და მამამ მუღანლოს სკოლაში არ გაუშვა. ყოველდღე დილით ადრე წავა და შუადღეს დაბრუნდება, მაგას ხომ არ ავედევნებით. გვეშინია, არ მოგვტაცონ და ამიტომაც სახლშია“* (დიასახლისი ქალი სოფელ ხანჯიღაზლობან).

> *„გოგონები 9 კლასის დამთავრების მერე იძულებული არიან, ისხდნენ სახლში და საქმროს დაელოდონ. ეს, ერთის მხრივ, მშობლების, განსაკუთრებულად კი მთავრობის მიერ შექმნილი პრობლემური რეალობაა, დამნაშავე სახელმწიფოა. მერე რა, რომ სოფელი პატარაა და მოსახლეობა ცოტა, ამ ცოტა მოსახლეობას სერვისებზე ხელმისაწვდომობა, არ უნდა?!“* (პენსიონერი მასწავლებელი, სოფელ ხანჯიღაზლოდან).

რესპონდენტი ქალების თქმით, კარგია, რომ პოლიცია რეაგირებს ადრეული ქორწინების შემთხვევებზე. ეს კარგი გამოსავალია გოგოსთვის, რომელიც

იძულებითი ქორწინების მსხვეპლია, ქალისთვის, რომელიც ოჯახში ძალადობას განიცდის. თუმცა, ოჯახში ძალადობის პრობლემა ისევ რჩება პრობლემად. განსხვავებული რეალობა თავს სოფლებში მაინც იჩენს. ქალები ამბობენ, რომ ოჯახში ძალადობა ისევ არ სცდება ოჯახის ფარგლებს. ამასთან, რესპონდენტები ასევე ამბობენ, რომ კაცებს ეშინიათ, რომ ქალი ან სხვა ვინმე პოლიციაში დარეკავს. ამიტომ, ისე მწვავედ აღარ დგას ოჯახური ძალადობა დღის წესრიგში.

> *"უკვე ქალების მიეცათ პოლიციაში მიმართვის საშუალება. ეხლა კაცებს ეშინიათ და ცოლებს არ სცემენ"* (46 წლის დიასახლისი სოფელ აღმამედლოდან).

> *„კაცებს პოლიციის კი არ ეშინიათ, მათ ეშინიათ იმ სირცხვილის, რომელიც ქალის პოლიციაში მიმართვის შედეგად დაემართებათ"* (36 წლის დიასახლისი აღმამედლოდან).

კვლევამ გამოამჟღავნა, რომ ადრეული ქორწინებების პრობლემამ მარნეულის მუნიციპალიტეტში ადგილი ე. წ. ადრეულ ნიშნობებს დაუთმო. სოფლებში ზოგადად დგას ადრეული ნიშნობის პრობლემა. ადგილობრივი ქალები ამბობენ, რომ 6-7 კლასებში იკვეთება ერთმანეთის მიმართ სიყვარულის ტენდენცია. რესპონდენტები ამბობენ, რომ იქიდან გამომდინარე, რომ საზოგადოებაში „შეყვარებულობა" მიღებული არ არის, ოჯახებს ურჩევნიათ, ახალგაზრდები დანიშნონ, რათა გოგოებს სახელი არ გაუტყდეთ.

> *„ახლა ძირითადად ახალგზრდებს თვითონ უნდათ ადრეულ ასაკში ურთიერთობის დამყარება. უფროსებს გვეშინია, სოფელში ჭორი არ იყოს. ბეჭედი უკვე ნიშნობას ნიშნავს და ჩვენ ასე გვირჩევნია"* (დიასახლისი, 38 წლის ქალი სოფელ დამი გორარხიდან).

კვლევამ გამოავლინა, რომ ადრეული ქორწინების წინაღმდეგ ბრძოლაში, შესაძლოა, სკოლებმა და პედაგოგებმა ითამაშონ გადამწყვეტი როლი. ერთ-ერთი რესპონდენტის მიხედვით, მამამ ქალიშვილი იძულებით დანიშნა, ამ უკანასკნელმა კი პედაგოგის დახმარებით პოლიციაში იჩივლა, საცხოვრებლად თავშესაფარში გადავიდა, განაგრძო დამოუკიდებელი ცხოვრება და განათლების მიღება.

> *„ბოლო შემთხვევა ახლახან მოხდა. მამამ იძულებითი დანიშნა შვილი, გოგომ კი, მასწავლებლების დახმარებით, პოლიციაში უჩივლა. გადაიყვანეს თავშესაფარში, მერე დაბრუნდა და სწავლას აგრძელებს"* (57 წლის მასწავლებელი სოფელ მოლაოღლუდან).

სამოქალაქო აქტიურობა

კვლევამ გამოამჟღავნა, რომ რესპონდენტი ქალების უმრავლესობას არ მიუღია მონაწილეობა სათემო პეტიციის, ან მსგავს აქტივობის დაორგანიზების პროცესში. ყველაზე ბევრი, თვითმმართველობისთვის განცხადებით მიუმართავთ, ისიც მხოლოდ პედაგოგებს. ასევე, მასწავლებლებს მონაწილეობა ჰქონდათ მიღებული საარჩევნო კრებებში, სოფლის კრებაში ბიუჯეტის დაგეგმვის დროს, თუმცა აღმოჩნდა, რომ მათ თითქმის არასდროს დაუფიქსირებიათ აზრი ხმამაღლა. მათი ხმა სათემო კრებებში არ ისმის.

> *„მე და ჩემი კოლეგა მასწავლებლები ამ ბოლო წლებში სოფლის კრებებში ვიღებთ მონაწილეობას, თუმცა, მე არ მახსენდება შემთხვევა, რომ ქალი აფიქსირებდეს აზრს“* (მასწავლებელი სოფელ მოლაოღლუდან).

თუმცა, კვლევამ გამოავლინა, რომ ეს სიჩუმე ქალების სურვილი და ამოცანა არ არის. გამოკითხულთა უმრავლესობამ შეკითხვაზე, ჩაერთვებით თუ არა სოფელში არსებული პრობლემების მოგვარების პროცესში, თუ გეცოდინებათ, რომ ეს აუცილებლად შედეგს გამოიღებს, აბსოლუტური უმრავლესობის პასუხი დადებითი აღმოჩნდა. აქედან გამომდინარე, შეიძლება დავასკვნათ, რომ ქალებს უბრალოდ ინფორმაცია არ აქვთ, რაზე დაიწყონ ადვოკატირება, ან როგორ დააინიცირონ სხვადასხვა პრობლემების მოგვარება, თორემ სურვილი აქვთ.
ამასთან, მეორე კითხვაზე, გინდათ თუ არა ადკოვატირების კამპანიის ჩატარების ეტაპების სწავლა, სრულმა უმრავლესობამ პოზიტიური პასუხი გასცა. ეს ამტკიცებს იმ საჭიროებას, რომ ქალებს აღნიშნულ საკითხზე ელემენტარულად ინფორმაციის მიღება სჭირდებათ. მათ სურვილი აქვთ, მიიღონ რაც შეიძლება მეტი ინფორმაცია იმის შესახებ, თუ როგორ შეიძლება, დაიწყონ და დაასრულონ უბრალო მოქალაქე ქალებმა ადგილობრივ დონეზე გარკვეული საკითხის ინიცირება და ადვოკატირება.

შეჯამება

ფოკუს-ჯგუფების შედეგად გამოიკვეთა, რომ მარნეულის მუნიციპალიტეტში სოფლად მცხოვრებ ქალებს ერთმანეთის მსგავსი პრობლემები აწუხებთ. ის პრობლემები და საჭიროებები, რომლებიც ზემოთაა ჩამოთვლილი, ადგილობრივი ქალებისთვის ქმნის ბარიერებს და ხელს უშლის მათ ადგილობრივ პოლიტიკასა და საზოგადოებრივ ცხოვრებაში ჩართულობაში. კვლევამ გამოავლინა, რომ მარნეულის მუნიციპალიტეტში მცხოვრები ქალებისთვის მთავარ საჭიროებას გამართული ინფრასტრუქტურა, შესაბამისად მოწესრიგებული საჯარო ტრანსპორტი, სარწყავი და სასმელი წლით მომარაგება და ნარჩენების გადამუშავება წარმოადგენს. ასევე, მნიშვნელოვანია საგანმანათლებლო საჭიროებები, როგორიც არის ქართული ენის სწავლება და გამართული სკოლამდელი განათლების სისტემა. მათთვის საჭიროებას დამატებით წარმოადგენს შემეცნებითი, სოციალური ადგილების არსებობა, როგორიცაა სათემო ცენტრი, სადაც მოახერხებენ საკუთარი პრობლემების შესახებ საუბარს და მათი გადაჭრის გზების დასახვას. დამატებით აღსანიშნავია, რომ ბოლო წლების განმავლობაში, მარნეულის მუნიციპალიტეტის სოფლებში ის პრობლემები მოგვარდა, რომელიც მანამდე მთავარ გამოწვევად სახელდებოდა სხვა კვლევებში. მათ შორის, დაახლოებით 8 წელია, რაც გაზიფიკაციის პროცედურები დასრულდა და თითოეულ სოფელს და ოჯახს აქვს ბუნებრივ აირზე ხელმისაწვდომობა. შესაბამისად, რესპონდენტი ქალების განმარტებით, „ახლანდელ თაობას“ ბუნებრივი აირის გარეშე ცხოვრების გამოცდილება არ აქვს. რესპონდენტები ამბობენ, რომ გაზიფიკაციამ მათი ოჯახური ყოველდღიური საქმიანობა შედარებით გაამარტივა და დრო გამოუთავისუფლდათ სხვა საქმის, ან განვითარებისათვის. იგივე მდგომარეობაა ელექტროენერგიისა და ინტერნეტის თვალსაზრისით. შესაბამისად, აღნიშნული კვლევის შედეგად გამოვლენილი პრობლემებისა და საჭიროებების მოგვარების შემდგომ, შესაძლოა, ადგილობრივი ქალების სამოქალაქო და ადგილობირვ პოლიტიკურ აქტივობებში ჩართულობა და მონაწილეობა გაიზარდოს.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. R.A. Krueger; M.A. Casey, Focus Groups, A Practical Guide for Applied Research 5th Edition, Sage Publication, 2015;
2. J. Aldridge, Participatory Research, Working with vulnerable groups in research and practice, Policy Press 2015;
3. B.L. Berg, H. Lune, Qualitative Research Methods for the Social Sciences, 8th edition. London: Pearson Education, 2012
4. M.M. Breitbart, Participatory Research Methods. In N. Clifford, S. French, & G. Valentine (eds.), Key Methods in Geography, second edition (pp. 141-156). London: Sage; 2012;
5. K. Ranjit Research Methodology: A Step-By-Step Guide for Beginners. London: SAGE, 2011

Ministry of Foreign Affairs of Denmark
DANIDA | International Development Cooperation

ევროპის ფონდი

საფარი
SAPARI

CEAC
Civic Engagement and Activism Center
საზოგადოებრივ ჩართულობისა და აქტივიზმის ცენტრი

თბილისი
2023